

## ცაგერის ბაზრობა

ყოველი მხრიდან შემოდინ ცაგერში ამ დღეს,  
ზოგნი ქვეითად, ზოგიერთნი კიდეც ცხენებით.  
ბაზრის ბოლოდან სახელგანთქმულ მურის ხიდამდე  
გამწკრივდებიან სვანები და ლეჩხუმელები.

სვანის ასულებს მოუხურავთ წითელი ფარჩა,  
მათ სხვა ფერებზე უფრო უყვართ ფერი წითელი,  
- ერთი ხელადა, მარტო ერთი ხელადა დარჩა,  
ჩქარა იყიდეთ ოჯალეში შარშანწინდელი, -

გასძახებს ბაზარს ლეჩხუმელი თავგამეტებით  
და უცაბედად გაცოცხლდება მთელი ბაზარი:  
- იქით გაიწი, მუმტარს თვალში ნუ ეფეთები!  
აქეთ სულგუნი, აქეთ გოგრა უზარმაზარი!

შორით მოსულებს ემინიათ გაავდარების,  
ჩქარობენ, ოხრად რომ არ დარჩეთ ყველა შაური,  
ბაზარში დინჯად შემოდინ ჩალვადარები  
აბილაურით, ÷ ყინულით ÷ ÷ და თურაშაულით.

- პატარმალმაც კი ვერ მოქსოვოს ასე ლამაზად,  
თავს გეფიცები, ვერ იშოვნი უკეთესს, შვილო! -  
იფიცებს ერთი და ვარდისფრად ანათებს ბაზარს  
წვრილ-წვრილ ჭიქებში საჭაშნიკოდ ჩასხმული ღვინო.

ოქროსფერ სირმით მოსირმული ნაბდის ქუდები  
თავზე ახურავთ სვანის ქალებს, ვით სილამაზე,  
ყელგამოჭრილი ტახებივით წვანან გუდები,  
უქნარობაში აჯავრებენ ბაზრის ზარმაცებს.

- ქლიავის ჩირი, ვაშლის ჩირი და ღორის შაშხი!
- სიმინდიანი, ცერცვიანი თეთრი პურები!
- იყიდეთ, ხალხო, რას წაიღებთ უკეთესს სახლში! -
- აგერ, მწვანილი, აგერ კიტრი ნამნაკურები!

\* აბილაური - ლეჩხუმური საზამთრო თეთრი ვაშლი.

\*\* ყინული - ლეჩხუმური საზამთრო წითელი ვაშლი.

აგერ, წრე შეკრეს, შეიმართნენ და გაცხარებით

მყიდველს შეეზნენ ახოვანი ნაბდიანები,  
წრის შუაგულში თავდახრილი დგანან ხარები  
და საცრისხელა წითელ თვალებს აბრიალებენ.

აგერ, დედაკაცს აუვსია წიფხა÷ ხორბალით  
და ათზე ნაკლებ გასაყიდად არ ემეტება,  
აგერ ვიღაცამ გამოაძრო ურემს ბორბალი  
და სამჭედლოში შეიტანა შესაკეთებლად.

აგერ, წონიან ხელმეორედ ერთხელ აწონილს  
ყვითელ ხალთებით ორ ბანაკად გაყოფილები,  
კოლმეურნენი - ახალ ბაზრის ბატონ-პატრონნი -  
ილიმებიან ულვაშებში კმაყოფილებით.

- ერთი ხელადა, მარტო ერთი ხელადა დარჩა! -  
კვლავ გაიძახის ლეჩხუმელი თავდავიწყებით,  
სვანის ასულებს მოუხურავთ წითელი ფარჩა  
და სვანურ ბგერებს ღუღუნებენ, როგორც გვრიტები.

ასე ყაყანებს, ასე ბორგავს მთელი ბაზარი,  
თითქოს სიძვირეს ემუქრება შფოთის აწევით,  
და მურის ციხე გადმოსცქერის, ვით ზარბაზანი,  
როგორ დადიან მოედანზე ქონდრის კაცები.

დაბინდებამდე თავს ადგია გრძელი ფარდული  
ამდენ მოსავალს, ამდენ ქაქანს, ამდენ გასავალს,  
დალამდება და ცხენისწყალი, როგორც ფანდური,  
ჩაილილინებს ამ ბაზრობის თავგადასავალს.

1940

÷ წიფხა - ცაცხვის ან თელის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი, ტკეჩით შეკერილი  
- ფქვილის, მარილის, ან მარცვლეულისათვის.